თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

გედევან ფოფხაძე:

„მე მგონია, რომ ჩვენ მივიღეთ კანონი არა მოწევის, არამედ მწეველების წინააღმდეგ“

მე-2 გვერდზე

„ქარვისფერი ღვინო“ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევა

მე-3 გვერდზე

№3 (765) 31 მაისი - 18 ივნისი, 2017 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

ილია II:

„იყავით იქ, სადაც ბრძანდებით, მაგრამ ამავე დროს, იყავით სამშობლოში!“

დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმზე საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის მოწოდებამ ემიგრანტებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია და გამოხმაურება გამოიწვია. საკუთარი ქვეყნიდან ოჯახის სარჩენად წასული ქართველების ნაწილმა პატრიარქის მოწოდება იმგვარად აღიქვა, რომ მათი დაბრუნება სამშობლოში უკვე აღარავის აწყობს. არადა, რამდენიმე წლის წინ თავად პატრიარქი მოუწოდებდა ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. რა მოხდა რამდენიმე წელში, რამაც პატრიარქს აზრი შეაცვლევინა?!

დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ფორუმი „ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსთვის“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა.

ფორუმი უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების გაღრმავებას ისახავდა მიზნად, თუმცა პირიქით კი გამოვიდა. პატრიარქის განცხადებამ უფრო მეტად ემოციური კომენტარები გამოიწვია საზოგადოებაში, ვიდრე ემიგრანტების პრობლემებზე მსჯელობა. საზღვარგარეთ წასულმა ქართველებმა პატრიარქის მოწოდება არაერთგვაროვნად აღიქვეს.

„რამდენიმე წლის წინ, მოგიწოდებდით, რომ დაბრუნებულიყავით სამშობლოში, ახლა მოგიწოდებთ, რომ იყავით იქ, სადაც ბრძანდებით, მაგრამ ამავე დროს, იყავით სამშობლოში. ეს საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის,“ - განაცხადა ილია მეორემ დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმზე და საქართველოდან წასულ ემიგრანტებს მოუწოდა დაეხმარონან სამშობლოს მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნაში.

„თქვენ უნდა დაგვეხმაროთ მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნაში. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენმა შვილებმა რომლებიც მოღვაწეობენ, ცხოვრობენ უცხოეთში, არ დაივიწყონ ქართული ენა და კულტურა, ეკლესიები და მონასტრები, რომლებიც შეიქმნა უცხოეთში და რომლებიც ჩვენი სულიერი კულტურის ცენტრები გახდა, შეიქმნა წრეები ქართული ცეკვის, სიმღერის, ქართული ენისა და ლიტერატურის და ამაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ თქვენ...

მე მინდა გთხოვოთ, რომ თქვენ უნდა იყოთ მოქალაქე საქართველოსი. შეიძლება თქვენ ცხოვრობთ უცხოეთში, მაგრამ ამავე დროს, უპირველეს ყოვლისა, თქვენი წინაპრების ძვლები, ფესვები არის აქ, საქართველოში და ეს არ უნდა დაივიწყოთ. ღმერთმა დაგლოცოთ. მადლობელი ვართ იმისთვის, რასაც სამშობლოსთვის აკეთებთ“ - აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

პატრიარქის ამ სიტყვებს სოციალურ ქსელებში საკმაოდ ემოციური გამოხმაურება მოჰყვა. განსაკუთრებით, რეაქცია მოჰყვა ფრაზას - „იყავით იქ, სადაც ბრძანდებით...“ ზოგმა ეს პირდაპირ მოწოდებად აღიქვა, რომ სამშობლოში აღარ დაბრუნდნენ, ზოგიერთმა კი - პატრიარქის მიერ სახელმწიფოს უუნარობის აღიარებად.

„როდესაც პატრიარქი ამბობს, არ დაბრუნდეთო, ე.ი. დიდ საშიშროებას ხედავს და გვაფრთხილებს! ქვეყნის ტერიტორიის დაკარგვაზე საშიში, ერის, როგორც ეთნიკური ერთეულის განადგურებაა... ტერიტორიის გარეშე დარჩენილმა, მსოფლიოს ყველა კუთხეში გაფანტულმა ებრაელმა ხალხმა რწმენისა და ტრადიციების შენახვით, კვლავ შეძლო გაერთიანებულიყო და მსოფლიოს ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყნად ქცეულიყო, ამიტომ გვაფრთხილებს ილია მეორე, უცხო მიწაზე საკუთარი ქვეყანა და ფესვები შეინახეთო და თუ არა, მტრის იდეოლოგიის გამტარებელ პარტიებად კი არ უნდა დავიყოთ, არამედ უნდა გავერთიანდეთ და ხელისუფლებაში საქვეყნო ხალხი მოვიყვანოთ, რა ამდენ გონიერ ადამიანში 150-200 ასეთი კაცი არ მოგვეძებნება?!“ — წერს ქუთაისელი **ლია გვენეტაძე** სოციალურ ქსელ „ფეისბუქში.“

„საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საოკუპაციო ადმინისტრაციის ხემძღვანელებს და იმ ბატონებს, ვინც თვლის, რომ ჩვენ ლუკმა-პურისთვის ვართ აქ: ბატონებო, ჩვენ არავის ვკითხავთ, არც არასოდეს შევეკითხებით და არც არავის დაძახილზე ჩასულა იბერები, კოლხები, სრულიად ქართველები სამშობლოში, ჩვენ როცა გვინდა, მაშინ დავბრუნდებით მამაპაპისეულ ჩვენს სამშობლოში. კიდევ, „ლუკმა-პურის საძებნადო“, თურმე ის 1 მლრდ 500 000 დოლარს, რომელსაც ღებულობთ საქართველოში, ლუკმა-პური ყოფილა. დევნილებო, მადლობასაც არ გვიხდიან, პრობლემებს რომ აგვარებენ ჩვენი გზავნილით,“ - წერს **ვლადიმერ ხმელიძე,**

> **„...და ამ დროს ამ ხორცმეტებს არ აღელვებთ, თუ რა დამცირების, მონური შრომის, ღირსების შელახვის ფასად უჯდება ემიგრანტს ფულის შოვნა...**
> **თუ როგორ არიან დაავადებულნი ემიგრანტები ნევროზით, ათასი სხვა დაავადებით... თუ როგორ ენატრებათ ოჯახი, სკაიპებით გაზრდილი შვილები და შვილიშვილები... როგორ ენატრებათ სამშობლო, საკუთარი ლოგინი, სახლი, ეზო... ამ დარდსა და მოლოდინში გადის მათი ცხოვრების საუკეთესო წლები...“**

პატრიარქის კრიტიკოსებს საკუთარი ფეისბუქის გვერდზე გამოეხმაურა და ემიგრანტების დაბრუნების ეკონომიკურ შედეგზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ეკონომიკურმა მრჩეველმა **თემურ ბასილიამ**, რომელიც წლებია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.

„დღეს რამდენჯერმე წავიკითხე, რომ ზოგიერთ პირს უკმაყოფილება გამოუთქვამს საქართველოს პატრიარქის რჩევაზე ემიგრანტების მიმართ, რომ დარჩნენ იმ ქვეყნებში, სადაც არიან და შეინარჩუნონ კავშირი თავის სამშობლოსთან.

წარმოუდგენიათ პატრიარქის „კრიტიკოსებს“, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ქვეყანა, მილიონნახევარი ქართველი ემიგრანტი მართლაც რომ დაბრუნდეს სამშობლოში? ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად საქართველოში 11.8%-ია უმუშევრობის დონე (ანუ, დაახლოებით 400 ათასამდე პირია დაუსაქმებელი)... წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როდესაც დღეს საქართველოში მცხოვრებ 400 ათას უმუშევარს, ემიგრაციიდან დაბრუნებული მილიონნახევარი ადამიანი რომ დაემატება,“ — წერს თემურ ბასილია და დასძენს, რომ 2012 წლიდან მიმდინარე წლის მაისამდე ქართველმა ემიგრანტებმა საქართველოს მასშტაბისთვის უზარმაზარი თანხა – 6.9 მილიარდი აშშ დოლარი გადმორიცხეს საქართველოში.

„ემიგრანტების ფინანსური გზავნილები ქვეყანაში ვალუტის შემოდინების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. რომ არა ქართველი ემიგრანტების ფინანსური გზავნილები, საქართველოს ეკონომიკა კიდევ უფრო მწვავე პრობლემების წინაშე იქნებოდა – მკვეთრად შემცირდებოდა ქვეყნის სავალუტო რეზერვები, საფრთხის ქვეშ დადგებოდა ისედაც მყიფე მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ქვეყანა დადგებოდა ჰიპერინფლაციის საფრთხის წინაშე და ლარის გაუფასურებაც საგანგაშო ზღვარს მიუახლოვდებოდა“ - მიიჩნევს ბასილია.

ვის და რატომ არ უნდა ემიგრანტების დაბრუნება - თავისი ვერსია აქვს მხატვარ **გულნარა წიკლაურს,** რომელიც წლების წინ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა და ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.

„პირველ რიგში - ოჯახებს, შვილებს, რადგან ამით მათ მოაკლდებათ შემოსავალი, ვეღარ დაიკმაყოფილებენ მატერიალურ მოთხოვნებს... ვერ გადაიხდიან სწავლის, ქორწილების, დაბადების დღეების, რესტორნების, მანქანების და ბინების ყიდვის, ზაფხულში დასვენების, საყვარლების უზრუნველყოფის და ათას სხვა ხარჯს...

სახელმწიფოს - რადგან, ემიგრანტებისგან შემოდის მილიარდობით თანხა და მათ მიერ უზრუნველყოფილი ოჯახები სახელმწიფოს პროტესტს არაფერში უცხადებენ, პრეტენზიებს არ უყენებენ...

საპატრიარქოს - რადგან, ემიგრანტებმა შეიძინეს შენობები ეკლესიებისთვის და ინახავენ მათ...

ქართულ შოუ-ბიზნესს - რადგან ემიგრაციის მეშვეობით ატარებენ კონცერტებს საზღვარგარეთ და აკეთებენ ფულს... და კიდევ ბევრ ვინმეს...

და ამ დროს ამ ხორცმეტებს არ აღელვებთ, თუ რა დამცირების, მონური შრომის, ღირსების შელახვის ფასად უჯდება ემიგრანტს ფულის შოვნა...

თუ როგორ არიან დაავადებულნი ემიგრანტები ნევროზით, ათასი სხვა დაავადებით... თუ როგორ ენატრებათ ოჯახი, სკაიპებით გაზრდილი შვილები და შვილიშვილები... როგორ ენატრებათ სამშობლო, საკუთარი ლოგინი, სახლი, ეზო... ამ დარდსა და მოლოდინში გადის მათი ცხოვრების საუკეთესო წლები...

და როცა ჰგონიათ, რომ იქნებ რამე სასიკეთოდ შეიცვალოს და საქართველოში დაბრუნების დრო დადგა, მათ ეუბნებიან, რომ არ დაბრუნდნენ და დარჩნენ იქ, სადაც არიან... ეს უკვე მარაზმია... ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა...“ — წერს გულნარა წიკლაური და მიიჩნევს, რომ **პატრიარქმაც და ხელისუფლებამაც შეთანხმებულად გასწირეს ემიგრანტები.**

ცოტნე პაატაშვილი

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

ფოიერვერკის გამოყენება მხოლოდ თვითმმართველობის ნებართვით დღესასწაულებზე და ოფიციალურ სახელმწიფო ღონისძიებებზე იქნება დაშვებულ

ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ე.წ. პიროტექნიკის გამოყენებით გამოწვეულ ხმაურზეც გავრცელდება.

"ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც დღისა და ღამის საათებში, საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივ/საჯარო შენობებში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას ითვალისწინებს, დაჯარიმებას პიროტექნიკური ნაკეთობების მიერ გამოცემულ ხმაურზეც გამოიწვევს.

პიროტექნიკის გამოყენებით გამოწვეულ ხმაურთან დაკავშირებული პუნქტი პროექტს განხილვის პროცესში დაემატა. "ეს არის პრობლემა, რომელიც საკმაოდ აქტუალურია. გაჩნდა ორგანიზაციები, რომელიც მოქალაქეებს ამ სერვისს სთავაზობენ და ადამიანები, მაგალითად საბურთალოზე, საკუთარ პარტნიორებსა და მეგობრებს ფოიერვერკებს უწყობენ. კანონით კონკრეტდება, რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მათი გამოყენება - მხოლოდ თვითმმართველობის ნებართვით დღესასწაულებზე და ოფიციალურ სახელმწიფო ღონისძიებებზე", - განუცხადა "ინტერპრესნიუსს" პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა და ინიციატორმა, პარლამენტის წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა.

"ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებების პროექტი დღეს პირველი მოსმენით იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა და მხარი დაუჭირა. პროექტის ავტორები არიან პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, ლევან გოგიჩაიშვილი, ბექა ოდიშარია, გედევან ფოფხაძე, აკაკი ზოიძე, ირაკლი ბერაია, სალომე ზურაბიშვილი.

"ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დაგეგმილი ცვლილებები პირველ ჯერზე ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირის გაფრთხილებას. სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის - 500 ლარის ოდენობით.

ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის მესამედ და მის შემდგომ ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირის - 300 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის - 1000 ლარის ოდენობით.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას დღის (07.00-23.00 საათამდე) და ღამის საათებში (23.00-07.00 საათამდე) ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის.

ასევე, კანონპროექტის გათვალისწინებით, 2018 წლის 1-ელ აპრილამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს განიხილავენ შინაგან საქმეთა ორგანოები - საპატრულო პოლიცია, რომელიც განხორციელებულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი ხმაურმზომი ხელსაწყოებით უზრუნველყოფს პირის მიმართ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2018 წლის 1-ელი აპრილიდან ეს ფუნქცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემა.

ევროპულმა საქართველომ პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გამართა

პარტიის მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა დღეს სპორტის სასახლეში, სადაც გენერალურ მდივნად გიგი უგულავა აირჩიეს.

ყრილობის 500-მდე დელეგატმა პარტიის თავმჯდომარედ დავით ბაქრაძე, ხოლო პოლიტიკური საბჭოს ხელმძღვანელად გიგა ბოკერია აირჩია.

„ვხედავ და ვგრძნობ, იწყება ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში, იწყება ახალი შრომა, იწყება ახალი ბრძოლა და პირობას გაძლევთ ამ ბრძოლაში თქვენთან ერთად ბოლომდე ვიდგები და ბოლომდე დავიხარჯები. დღეს ჩვენი ერთად დგომა არის ნიშანი იმისა, რომ საქართველოში ისევ იბადება და ძლიერდება ენერგიული, კომპეტენტური ძალა. ძალა, რომელსაც აქვს ზუსტი ხედვა რა სჭირდება ჩვენ ქვეყანას განვითარებისთვის და წინსვლისთვის. ეს ძალა თქვენ ხართ - მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო", - განაცხადა გიგი უგულავამ ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, პარტიაში გაწევრიანებული პირები იყვნენ და რჩებიან 2003 წელს საქართველოში „ვარდების რევოლუციის ღირებულებების და პრინციპების ერთგული".

პარტიის გენერალურმა მდივანმა მომავალ გეგმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არჩევნების გზით შეცვლიან მთავრობას.

„პირველ ნაბიჯად ამ შემოდგომაზევე დავასრულებთ ოცნების ერთპარტიულ მონოპოლიას საქართველოში და შემდგომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე ჩვენ მშვიდობიანად გავისტუმრებთ მმართველობიდან საქართველოს მთავარ მუხრუჭს, ივანიშვილის მთავრობას. მათ მოუწევთ ოპოზიციაში გადასვლა. ეს გარდაუვალია", - განაცხადა უგულავამ.

ყრილობაზე ასევე გამოვიდა სიტყვით პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე გიგა ბოკერია: „თქვენ ხართ ის გუნდი, ვისი იმედიც შეუძლია ჰქონდეს საქართველოს. თქვენ ხართ ის გუნდი, რომელიც არასოდეს არ დათმობს ჩვენს არჩევანს, რომ ვიყოთ თავისუფალ ერთა ოჯახის სრულფასოვანი წევრი, რომელიც არასოდეს არ დათმობს ჩვენ ევროპულ არჩევანს - ევროპულ საქართველოს, თქვენ ხართ ის გუნდი, რომელიც არასოდეს შეეგუება, რომ ჩვენ დავბრუნდეთ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის, დღევანდელი რუსეთის ჭაობში".

გიგა ბოკერიამ მომავალ გეგმებზე საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ „ დემოკრატიული გზით" შეცვლიან ხელისუფლებას.

„ყველაზე კარგი მთავრობაც კი საშიშია თუ ის ხალხს და კონსტიტუციას არ ემორჩილება", - განაცხადა ბოკერიამ.

„დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სჭირდება ის ახალი ძალა, რომელიც ორიენტირებული იქნება გამთლიანებაზე და არა გაყოფაზე. შერიგებაზე და არა მტრობაზე, შენებაზე და არა ნგრევაზე. ხალხის კეთილდღეობაზე და არა ერთმანეთთან ქიშპობაზე, სწორედ ეს იქნება ჩვენი პარტიის მთავარი მამოძრავებელი ღერძი - გამთლიანება, შერიგება, შენება და ხალხის კეთილდღეობა", - განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ.

დღესვე ყრილობაზე პარტიის წევრებმა თბილისი მერობის კანდიდატად ელენე ხოშტარია დაასახელეს.

„დღეს მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ვიბრძოლო ქალაქის მერობისთვის ... ყველაზე მთავარი არის ის, რომ ქალაქის მერი ემსახურებოდეს მოსახლეობას, ანგარიშვალდებული იყოს მოსახლეობის და არა ერთი ჯგუფის, პარტიის ან თუნდაც ერთი ადამიანის წინაშე", - განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

დღესვე ყრილობაზე 90 წევრისგან შემდგარი პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობა დაასახელეს.

მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 2017 წლის იანვარში გამოეყო, ხოლო მაისის ბოლოს პარტიამ დამფუძნებელი ყრილობა დააანონსა.

გედევან ფოფხაძე:
„მე მგონია, რომ ჩვენ მივიღეთ კანონი არა მოწევის, არამედ მწეველების წინააღმდეგ"

მიუხედავად დიდი კამათისა და აზრთა სხვადასხვაობისა, "თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონპროექტი საქართველოს IX მოწვევის პარლამენტმა მე–3 მოსმენით მიიღო. კენჭისყრაზე პარლამენტარების ხმები ასე გადანაწილდა:85 მომხრე 1 წინააღმდეგი. კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა გედევან ფოფხაძემ.

აღნიშნული კანონის ინიციატორი პარლამენტის წევრი გუგული მაღრაძეა.

კანონპროექტით, მკაცრად იკრძალება თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია, საჯარო სივრციდან მოწევა დაშვებული იქნება მხოლოდ რამდენიმე ობიექტში, მათ შორის, სამორინესა და სიგარაბარში, თუმცა, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ სალიცენზიო პირობებს. თამბაქოს მოწევა ასევე აიკრძალება ღია სივრცეებში და სტადიონებზე. „თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონი ეტაპობრივად შევა ძალაში, 2018 წლის 1 მაისიდან კი მოხდება სრული აკრძალვა.

„ჩვენ მივიღეთ კანონი, რომლის შედეგადაც საქართველო გახდება ქვეყანა, სადაც იქნება თამბაქოსგან თავისუფალი სივრცე და სადაც არამწეველთა უფლებები იქნება დაცული. ამ კანონით, ასევე, დავიცავთ არასრულწოვანებს მოწევის საფრთხისგან6" — განაცხადა კანონის ავტორმა გუგული მაღრაძემ.

ჩენ ასევე ვესაუბრეთ ადამიანის უფლებათა დაცვის კოიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, პარლამენტის წევრს, გედევან ფოფხაძეს, რომელმაც კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა.

„მე მგონია, რომ ჩვენ მივიღეთ კანონი არა მოწევის, არამედ მწეველების წინააღმდეგ. რაც არასწორია. უფლებრივად ამ ადამიანებსაც აქვთ უფლება, მოწიონ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მავნე ჩვევაა. რეგულაციებით ადამიანების ჩაყენება ასეთ მდგომარეობაში, ცოტა არ იყოს, დისკრიმინაციაა." — გვითხრა გედევან ფოფხაძემ.

ლიკა დევდარიანი

„ვესაუბრებით ამომრჩევლებს" – საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივა

„ვესაუბრებით ამომრჩევლებს" - ეს არის საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივა და საქართველოს მასშტაბით საოლქო საარჩევნო კომისიების მოსახლეობასთან შეხვედრებს ითვალისწინებს.

თითოეულ მუნიციპალიტეტში გასვლითი შეხვედრები ეტაპობრივად იმართება; ამომრჩევლებს საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები სოფლებსა და მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხვდებიან და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ აწვდიან ინფორმაციას; ურიგებენ მათ საინფორმაციო ბარათებს თვითმმართველობის არჩევნების შესახებ, ესაუბრებიან საკუთარი საარჩევნო უფლებების თაობაზე და იზიარებენ მათ მოსაზრებებს.

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მოქალაქეების აზრის გაგება ზოგადად საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით და სწორედ მათი მოსაზრებების გათვალისწინება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების მიზნით; აღნიშნულიდან გამომდინარე, სურვილის შემთხვევაში ამომრჩევლები შეავსებენ მოსაზრებების ბარათებსაც. საარჩევნო ადმინისტრაცია, თავის მხრივ კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს მიღებული მონაცემების საკუთარ საქმიანობაში გათვალისწინებას.

გასვლითი შეხვედრებისას საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები მოქალაქეებს ასევე იწვევენ მაისში დაგეგმილ საჯარო საინფორმაციო შეხვედრებზე (რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიებში გაიმართება), სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღონ არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ, - თუ რა ხორციელდება იმისათვის, რომ ამომრჩევლებს ყოველთვის ჰქონდეთ შესაძლებლობა ყველასათვის ხელმისაწვდომ გარემოში შეასრულონ საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი.

„უფრო ახლოს" საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივის სლოგანია, რაც ამომრჩევლებსა და საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის უფრო უშუალო და ეფექტურ კომუნიკაციას გულისხმობს და ამომრჩევლის ინფორმირებასთან ერთად პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანიც არის.

გასვლითი შეხვედრებით საარჩევნო ადმინისტრაცია მიზნად ისახავს ამომრჩეველი იყოს კარგად ინფორმირებული, - იცოდეს საკუთარი საარჩევნო უფლებები, გაიგოს თუ რა კეთდება საარჩევნო პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის და იცოდეს, რომ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით დახმარების მიზნით ყოველთვის შეუძლია მიმართოს თავის საოლქო საარჩევნო კომისიას.

ცესკოს ინოვაციური პროექტის „ვესაუბრებით ამომრჩეველს" ფარგლებში პირველი შეხვედრა გაიმართა ქუთაისის ამომრჩეველთან.

59-ე ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა და მოხალისეებმა ქუთაისელ ამომრჩეველს მიაწოდეს ინფორმაცია მათი ინფორმირებულობის გაზრდისა და საარჩევნო უფლებების თაობაზე, ცესკოს მიერ განხორციელებულ და განსახორციელებელ ინოვაციურ პროექტებსა და შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით.

კლინიკები ვალდებული ხდებიან, განახორციელონ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება ყველა შემთხვევაში, თუკი მოქალაქის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება

სამედიცინო დაწესებულებებს კანონით დაკისრებული ვალდებულება ექნებათ, განახორციელონ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდება ყველა შემთხვევაში, თუკი მოქალაქის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ამასთან, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა, მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

“ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონსა და “სისხლის სამართლის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა. პროექტის ავტორები არიან პარლამენტის წევრები: სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ანრი ოხანაშვილი და ვანო ზარდიაშვილი.

როგორც ცნობილია, 2017 წლის 1-ელი იანვრიდან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მომსახურებებით კერძო დაზღვევით მოსარგებლე პირები ვერ სარგებლობენ. როგორც კილაძემ განმარტა, აღნიშნულმა წარმოქმნა გარკვეული პრობლემები სამედიცინო სერვისების მიღებისას იმ შემთხვევებში, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გარკვეული დაზღვეული პირის ბრალეულობა დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში.

“დღეს მოქმედი კანონი ექიმს ავალდებულებს, აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა, თუ გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში, მათ შორის, თვითმკვლელობის მცდელობით განპირობებული მდგომარეობა ან პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ექიმის სამუშაო ადგილზე, თუმცა კანონში არსადაა ნახსენები სამედიცინო დაწესებულების მსგავსი ვალდებულების შესახებ. როგორც წესი, ექიმი სწორედ სამედიცინო დაწესებულების პოლიტიკის გამტარად გვევლინება. შესაბამისად, კერძოდ დაზღვეული პაციენტი შეიძლება აღმოჩნდეს დაუცველი, როდესაც მას მიადგა ჯანმრთელობის დაზიანება და ჯერ არ არის გარკვეული მისი ბრალეულობა. ბრალეულობის დადგენის პროცესი კი, შესაძლებელია რამდენიმე კვირა ან სულაც რამდენიმე თვე გაგრძელდეს. კერძო დაზღვევა მას მსგავს შემთხვევებს ამ პერიოდის განმავლობაში არ უნაზღაურებს. არსებობს რისკი, რომ სამედიცინო დაწესებულებამ უარი თქვას მის მიღებაზე დაზარალებულის ფინანსური რესურსების არქონის გამო. პრაქტიკაში გვხვდება ასეთი შემთხვევები“, - ითქვა კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე.

„ქარვისფერი ღვინო“ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევა

„P.S. ფოტო“ © (გურამ წიბახაშვილი)

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OIV) დაჩქარებული წესით განხილვაში მიიღო ქართული მხარის წინადადება, რომ ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინო, ანუ ჭაჭაზე დადუღებული ღვინო სახელწოდებით „ქარვისფერი ღვინო“, OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალშიშევიდეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი სამანიშვილის განცხადებით,ქართული მხარის ამ მიმართვას OIV-ის მხრიდან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

„ეს სიახლე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული ტრადიციული ღვინოების პოპულარიზაციისა და ცნობადობის ასამაღლებლად მთელს მსოფლიოში“ -აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

მისი თქმით, ამჟამად OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში არის სულ 7 ღვინო - შუშხუნა, ცქრიალა, შემაგრებული, ლიქიორული, ბუნებრივად ტკბილი ღვინოები, „აისვაინი“ და აპკის ქვეშ დავარგებული (ხერესის ტიპი).

შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, ქართული „ქარვისფერი ღვინო“ OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში მერვე იქნება.

ქუთაისის სკოლების მოსწავლეები სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობას გაეცნენ

პროგრამის ,,სამოქალაქო განათლება - მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ორგანიზაციასთან ph lnternatlonal Georgla პარტნიორობით ახორციელებს, იმერეთის რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეები სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი უწყებების მუშაობის პროცესს გაეცნენ.

სკოლის მოსწავლეებს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი შეხვდა და სოფლის მეურნეობის დარგის მნიშვნელობაზე ესაუბრა. მინისტრის მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის ახალგაზრდების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

,,მსოფლიოს მასშტაბით, სოფლის მეურნეობის დარგი სწრაფად ვითარდება, ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები და წარმოება სულ უფრო მაღალ სტანდარტებზე გადადის. შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობა სწორედ ამ გამოწვევების წინაშე დგას და მათი დაძლევა ცოდნის, გამოცდილების და კვალიფიკაციის გარეშე წარმოუდგენელია. ახალ თაობას ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი როლი აკისრია. თქვენ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ ყველა ის შესაძლებლობა, რასაც თანამედროვე სამყარო გთავაზობთ. კარგი განათლებით და საფუძვლიანი ცოდნით, შეძლებთ გააგრძელოთ და განავითაროთ ის უძველესი დარგი და ტრადიციები, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმართულებით აქვს“, - აღნიშნა გიორგი ხანიშვილმა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მინისტრის მოადგილემ მოსწავლეების ყველა შეკითხვას ამომწურავად უპასუხა.

გაცნობითი ტურის ფარგლებში, იმერეთის რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ღვინის ეროვნული სააგენტოს ენოთეკა, მარანი და ღვინის მუზეუმიც დაათვალიერეს. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა ახალგაზრდებს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ტრადიციები გააცნო და ღვინის დაყენების ქართულ, უნიკალურ მეთოდზე გაამახვილა ყურადღება. როგორც გიორგი სამანიშვილმა საუბრისას აღნიშნა, არსებობს ვაზის 500-ზე მეტი ქართული, უნიკალური ჯიში, რომელთა მოძიებასა და აღდგენას სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ახორციელებს. ღვინის სააგენტოს თავმჯდომარემ ენოთეკაში და ღვინის მუზემუში დაცულ ექსპონატებზე მოსწავლეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კუთხით სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე მოსწავლეებს დეტალური ინფორმაცია სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა მიაწოდეს. ახალგაზრდებმა ყველა ის აღჭურვილობა და ტექნიკა დაათვალიერეს, რომელსაც სააგენტოს სპეციალისტები სურსათის კონტროლის, ვეტერინარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელებისთვის იყენებენ.

წელს საფერავის ჯიშის ყურძენზე სუბსიდირება არ განხორციელდება

წელს საფერავის ჯიშის ყურძენზე სუბსიდირება არ განხორციელდება, - ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, დღეის მდგომარეობით, საფერავის ჯიშის ყურძენზე სუბსიდირების განხორციელების საჭიროება არ არსებობს. მინისტრის განმარტებით, ასევე მოლოდინები არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ სუბსიდირება არ განხორციელდეს რქაწითელის ჯიშის ყურძენზეც. დავითაშვილის განცხადებით, უკვე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საფერავის ჯიშზე სუბსიდირება არ განხორციელდეს, ხოლო მთავრობაში სხვა ჯიშის ყურძენთან დაკავშირებით სუბსიდირების საკითხებზე შეჯერებული პოზიცია არ არსებობს. მინისტრის თქმით, ბოლო სამი წლის განმავლობაში შეიქმნა გარკვეული ინსტრუმენტები, რომ ბრენდის ინდუსტრიამ სპირტის გამოსაყოფი რქაწითელი დაფინანსოს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად მოლოდინებისა და არსებული გადაწყვეტილებისა, რთველის პროცესში მას გლეხებსა და მწარმოებლებთან ექნება კომუნიკაცია.

“წელს ყურძნის სუბსიდირება არ გვექნება ცალსახად საფერავში. მოლოდინი ისეთია, რომ სუბსიდირება არ გვექნება არც თეთრ ყურძენზე. ჩვენ ბოლო სამი წლის განმავლობაში დავიწყეთ გარკვეული ინსტრუმენტების შექმნა, რომ ბრენდის ინდუსტრიამ სპირტის გამოსაყოფი რქაწითელი დაფინანსოს. ეს არის დღეის გეგმა. რთველის დროს გვექნება კომუნიკაცია. ანუ ეს არის მთავრობაში შეჯერებული სცენარი, მაგრამ მოლოდინები გვაქვს, რომ საფერავსა და რქაწითელზე არ გვექნება სუბსიდირება“, - განაცხადა დავითაშვილმა.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დათვალიერების მსურველებს ერთი ლარის გადახდა მოუწევთ

ქუთაისის მერიამ ბოტანიკური ბაღის დათვალიერების საფასური შემოიღო. 1 ივნისიდან ბოტანიკური ბაღის დათვალიერების მსურველებს სიმბოლური ფასის, 1 ლარის გადახდა მოუწევთ, საქორწინო ფოტოსესიები კი უფრო ძვირი ეღირება.

საკითხის განხილვამ საკრებულოს წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გია უკლებამ ქალაქის მერს დამატებითი შეკითხვები დაუსვა, თუ რატომ ხდება ფასიანი ბაღის დათვალიერება და რა გაუმჯობესდება ამ გადასახადის შემოღებით?

საკითხს მხარი არ დაუჭირა ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა, სამსონ გუგავამაც. „მოქალაქეები,როგორც გადამხდელები, ისეც იხდიან ბოტანიკური ბაღის შენახვის საფასურს. ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხა ირიცხება ბოტანიკური ბაღის შესანახად, თუმცა რამე განსაკუთრებულ სერვისს ვერ სთავაზობს ის მომხმარებელს. ხელისუფლება ყველა თავისი გადაწყვეტილებით ურთულებს ხალხს ცხოვრებას.“— განაცხადა სამსონ გუგავამ.

„ჩვენ ბოტანიკური ბაღი იმ მდგომარეობაში ჩაგვბარდა, შიგ არ შეისვლებოდა. მისი რეაბილიტაცია ნახევარი მილიონი ლარი დაგვიჯდა. ახლა გადავწყვიტეთ, როგორც ყველა ბოტანიკური ბაღი, ესეც ფსიანი გავხადოთ. შეღავათები დაწესდება 7 წლამდე ბავშვებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.“ — განაცხადა შოთა მურღულიამ.

ლიკა დევდარიანი

ავთანდილ ხურციძე:
„ყველა ჩხუბს სიყვარულით ვჩხუბობ“

მსოფლიო მასშტაბის ქართველი მოკრივე, კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვებისშემდეგ, თავის სამშობლოს ესტუმრა. 36 წლის ავთანდილ ხურციძე, იგივე" ჩაქუჩა", რომელიც ამჟამად ამერიკაში მოღვაწეობს, უკვე მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მან 22 აპრილს, ქალაქ ლესტერში, დაამარცხა უძლიერესი მეტოქე ბრიტანელი ტომილენგფორდი, რომელიც ნოკაუტში გაგზავნა და საშუალო წონაში WBO-ს დროებითიჩემპიონის ტიტული დაიცვა.

ამ ეტაპზე მოკრივის სპორტული დოსიე ასე გამოიყურება: 5-ჯერ მოიგო კონტინენტალური ქამარი; არის 3-გზის ევროპის ჩემპიონი გახდა და 4-გზის მსოფლიო ჩემპიონი; სულ 33 საერთო რეკორდი აქვს მოხსნილი, აქედან - 22 ნოკაუტით, 2 წაგება და 21 ფრე. ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენი თავისი რეიტინგით მსოფლიოს 10 საუკეთესო მოკრივეთა შორის არის.

ავთანდილის წარმატებები არავისთვის არ არის უცხო. ჩვენ გადავწყვიტეთ სამშობლოში დროებით დაბრუნებულიმოკრივე სხვა კუთხით გაგვეცნო ჩვენი მკითხველისთვის. ამიტომ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მასთანკრივზე ყველაზე ცოტა ვისაუბრეთ.

მოკრივის პორტრეტული ინტერვიუ საკმაოდ საინტერესო გამოვიდა.

უნდა აღვნიშნო, რომ ინტერვიუს ჩაწერა საკმაოდ სპონტანურად გადაწყდა, იქიდან გამომდინარე, რომ სახლშირამდენიმე დღით ჩამოსულ სპორტსმენს საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს. ამას მედიის დიდი აქტივობცდაემატა. თუმცა ავთანდილ ხურციძესთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩაწერის პატივი მედიასახლ "პოსკრიპტუმს" ხვდა წილად.

სიმართლე გითხრათ, საკმაოდ ვღელავდი მსოფლიო დონის ვარსკვლავთან ინტერვიუს ჩაწერაზე, თუმცა რესპონდენტის უშუალობამ და თავმდაბლობამ, ასევე კარგმა იუმორის გრძნობამ სრულიად შეცვალა ჩემი მოლოდინები.

— ბატონო ავთანდილ რედაქციის სახელით მადლობას გიხდით, რომ ჩვენთვის დრო გამონახეთ. იქნებ გაგვაცნოთ თქვენი მოკლე ბიოგრაფია, თქვენს ბავშვობაზე მოგვიყვეთ?!

— დავიბადე ქუთაისში. ვიზრდებოდი გორაზე მშობლებთან და და-ძმასთან ერთად. საკმაოდ ღარიბ ოჯახშიგავიზარდე. წარმოშობით ვანელი ვარ. ძალიან თავისუფალი, დაუჯერებელი, ცელქი და ჯიუტი ბავშვი ვიყავი. პატარაობიდანვე ჩემი პრინციპები მქონდა. ეს თვისება დღემდე გამომყვა.

— როდის აღმოაჩინეთ,რომ კრივით იყავით დაინტერესებული?

— ძალიან გვიან - 21 წლის ასაკში მივხვდი,რომ სპორტი იყო ჩემი. დიდი დრო დავკარგე.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ცხოვრებისეულ ფასეულობებთან, გარესამყაროსთან?

— პირველი, რწმენა ღმერთის და შემდეგ - საკუთარი თავის. აუცილებლად უნდა გწამდეს საკუთარი თავის!

— რამდენად გბოჭავთ ქართული ტრადიციები ? რას თვლით უზნეობად?

— ქართველებს გადამეტებული გვიყვარს ყველაფერი. სიყვარულიც, მტრობაც, მეგობრობაც - ყველაფერი ვიცითზედმეტი. ჩემი აზრით, მთავარია ადამიანი არ იყოს უზრდელი, ბოროტი და შურიანი. უზნეობად ვთვლი უხამსსაქციელს და ხასიათს.

— თქვენ და ქუთაისი - რა გავლენა მოახდინა თქვენზე მშობლიურმა ქალაქმა?

— მიყვარს ქუთაისი. მთელი ბავშვობა ამ ქალაქში გავატარე. როცა დრო მაქვს, სულ ჩამოვდივარ. ბევრი კარგი თვისებაშემძინა ამ ქალაქმა, ბევრი ისეთი რამეც დავინახე ამ ქალაქში, რაზეც დღემდე მწყდება გული, მაგრამ ამას არა აქვსმნიშვნელობა. ქუთაისი შეუდარებელი ქალაქია, ვერცერთ სხვა ქალაქს ვერ შევადარებ, სადაც მიცხოვრია.

— თქვენი პირველი ნაბიჯები სპორტში უკავშირდება ქუთაისს, კლუბ "იმედს" და გრანდ-მასტერ მურთაზ ბებიას. რას გვეტყვით თქვენს პირველ მწვრთნელზე?

— ჩემი და მურთაზის ურთიერთობა შეუდარებელია, ეს მთელმა ქალაქმა იცის. ჩემი და მურთაზ ბებიასდამოკიდებულება არ ჰგავდა მწვრთნელის და მოსწავლის ურთიერთობას. მას მშობლის ამაგი აქვს ჩემზე. ბავშობაში ხშირად ვჩხუბობდი,მურთაზი კი დადიოდა და სულ მეძებდა, რომ არაფერი მომსვლოდა. იმ დროიდან დაწყებული დღემდე ჩვენ ოჯახური ურთიერთობა გვაქვს, წლები ერთად ვცხოვრობდით კიდეც.

— თქვენი მეტსახელი „ჩაქუჩა“ საიდან წამოვიდა?

— ერთხელ ქუთაისში სიყვარულის ბაღში ვიჩხუბე და მასე შემდეგ შემარქვეს მეტსახელი "ჩაქუჩა".

— რა განცდა გეუფლებათ, როდესაც საკუთარ ქვეყანაში ვერ ახდენთ საკუთარი შესაძლებლობების ჩვენებას დასხვაგან გიწევთ თავის დამკვიდრება

— სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ბევრმა არ იცის. ამერიკაში როდესაც ვახსენებ საქართველოს, ისევ რუსეთის ნაწილიჰგონიათ, რაც გულსატკენია. საქართველო უნდა წარმოვაჩინოთ მე და ჩემნაირებმა. არც ჩვენ გვექცევა სათანადოყურადღება. მე სხვა ქვეყნის სახელით არასდროს ვასპარეზობ. ამაზე ხშირად მაქვს დავა. მე უნდა შემიყვარონროგორც ქართველი. ათასი პასპორტი რომ ავიღო, მე მაინც ქართველად დავრჩები. თუმცა, დიდი მადლობაუკრაინას და ამერიკას ,სადაც პროფესიონალი მოკრივე გავხდი.

— ძალიან მალე მოვიდა ბევრი წარმატება და თავბრუ ხომ არ დაგახვიათ ამ ყველაფერმა?

— კი, მაგრამ ამას არ შევუცვლივარ. უბრალოდ, ცხოვრებამ და ხალხმა ლაპარაკი მასწავლა. ადრე უფრო მორიდებულივიყავი. ყველას უყვარს გამარჯვებული, დამარცხებული - არავის.

— რინგმა ბედნიერება მოგიტანათ?

— ბედნიერი ვარ და ამაყიც, ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც მიყვარს და მივაღწიე იმას,რისთვისაც ჯერ არცერთქართველს არ მიუღწევია - უმაღლესი ლიგის ყველა ვერსიის ქამარი მოპოვებული მაქვს. მეექვსე ქამარი მოვიგეახლა.

— პირად რინგზე რა ხდება? კარიერამ თქვენი პირადი ცხოვრება ხომ არ დაგაზარალათ?

— საერთოდ არა (იღიმის). მე სხვანაირი პიროვნება ვარ, პრინციპული და უბრალოდ, ჯერ ვერ ვნახე შესაბამისიყვარული, ერთგულებაზე და ურთიერთგატანაზე დამყარებული.

— გმადლობთ, გისურვებთ წარმატებებს!

ესაუბრა
ლიკა დევდარიანი

ქუთაისის აეროპორტი მსოფლიოში ყველაზე ლამაზ აეროპორტებს შორის მოხვდა

ვებგვერდი curbed.com მსოფლიოში ყველაზე ლამაზი აეროპორტების სიას აქვეყნებს. სტატიის მიხედვით, საინტერესო დიზაინის მქონე აეროპორტების აშენების, ან უკვე არსებულის მოდერნიზების ტენდენცია კვლავ აქტუალურია. ამისი დასტურია აშშ-ში არსებული ნიუორლეანის, ტამპას, ორლანდოსა და ლოს-ანჟელესის აეროპორტები. საინტერესოა, რომ სიაში ქუთაისის აეროპორტიც გვხვდება. „დიდი ფანჯრები ნათელ ინტერიერს ქმნიან, საიდანაც კავკასიონი ჩანს, ხოლო ტერმინალის ცენტრში არსებული, ხის მსგავსი სტრუქტურა, მგზავრების შეკრების ადგილს წარმოადგენს. აეროპორტის არქიტექტორმა, ბენ ფან ბერკელმა, შენობაში დიდი, გაშლილი სივრცეები დააპროექტა, რაც ძველ მატარებლის სადგურებს მოგვაგონებს," აღნიშნულია სტატიაში.

გთავაზობთ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი აეროპორტების სრულ სიას:

1. ბაქოს ჰაიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი (აზერბაიჯანი);
2. დენვერის საერთაშორისო აეროპორტი (აშშ);
3. მადრიდის ბარახას საერთაშორისო აეროპორტი (ესპანეთი);
4. კანსაის საერთაშორისო აეროპორტი (იაპონია);
5. პეკინის საერთაშორისო აეროპორტი (ჩინეთი);
6. ჩატრაპატი შივაჯის საერთაშორისო აეროპორტი (ინდოეთი);
7. კუალა ლუმპურის საერთაშორისო აეროპორტი (მალაიზია);
8. მარაკეშ მენარას აეროპორტი (მაროკო);
9. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი (საქართველო);
10. შენზენის საერთაშორისო აეროპორტი (ჩინეთი);
11. პულკოვოს აეროპორტი (რუსეთი);
12. დედოფალი ელიას საერთაშორისო აეროპორტი (იორდანია).

curbed.com

ქუთაისის ლიდო მესხიშვილის თეატრში
"თეატრალური იმერეთი 2017"
27 მაისი
ძველსანის დ.მესხიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი
ნოდარ ბერიძე
"რევიზორი"
რეჟისორი: ბორის სიხარულიძე
28 მაისი
ქობულეთის აკ.წერეთლის სახ. სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი
ნანუნა ჯუჯუნია
"ზღაპარი იგი, მათრობს და მხიბლავს"
რეჟისორი: ბაბილ ფირცხალავა
29 მაისი
ბესლეთის ზუ.ჩხეიძის სახ. სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი
გარეგ ნორგანი
"ღამე მშვიდობისა დედა"
რეჟისორი: ნინო ოჩარიანი
30 მაისი
ზესტაფონის სახალხო თეატრი
ილია ჯავახაძე
"კაცია ადამიანი"
რეჟისორი: ლევან გაბრიჭიძე
31 მაისი
ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრი
ალექს ჩიქვინაძე
"უხერხემლო"
რეჟისორი: ალი ჯუხაშვილი
3 ივნისი
სოხუმის კ.მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი
საქმეგალის ავტორი: ბაბილ სალუკვაძე
ლაგა ბუღანის პიესის მიხედვით
"ნაციგალორი"
რეჟისორი: ბაბილ სალუკვაძე
5 ივნისი
სარხეინის სახალხო თეატრი
რეზო გაბრიაძე
"შერეკილები"
რეჟისორი: ბიორგი ფეფოფინაძე
6 ივნისი
თერჯოლის სახალხო თეატრი
ალექსანდრ გალინი
"რეტრო"
რეჟისორი: მამუკა ცერცვაძე
7 ივნისი
ბაღდათის სახალხო თეატრი
ალექსანდრე ჩხაიძე
"შთამომავლობა"
რეჟისორი: მეფიფოფ ჯაფარიძე
8 ივნისი
სამტრედიის ეროსი მანაგაძის სახელობის დრამატული თეატრი
ნოდარ ფუფაძე
"მე ვხედავ მზეს"
რეჟისორი: ლორიტა ჯორჯანია
9 ივნისი
ვანის სახალხო თეატრი
ფეტუან ფაციბი
"უცნობი ქალის წერილი"
რეჟისორი: აბეტ სოსელია
12 ივნისი
ხარაგაულის ო